



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ვარშალომიძე ლევან გურამის ძე



ვარშალომიძე ლევან გურამის ძე (დ. 17. I. 1972, ბათუმი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (2004-12). 1994 დაამთავრა კიევის უნ-ტის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი. იყო საქართვე. საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშ.-სამართლებრივი დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი (1998-2000),

საქართვე. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტ. თავ-რე (2000-02), საქართვე. ფინანსთა სამინისტროს იურიდ. დეპარტ. დირექტორი (2002), საქართვე. სახელმწიფო და სამართლის ინ-ტის საერთაშ. კერძო სამართლის განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი. „საქართველოს რკინიგზის“ გენ. დირექტორი (2004).

---